საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

1. შენობის მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურების შესყიდვა.
2. მიწოდების ადგილია ქ. თბილისი.
3. ხელშეკრულების ღირებულებაა 50 000.00 ლარი.
4. პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულებაა 100 063.00 ლარი.

5. ინტერესის გამოხატვა: კომპანიებს შეუძლიათ გამოხატონ ელექტრონულ პროცედურაში მონაწილეობის ინტერესი შემდეგი ფორმით: შესყიდვის ელექტრონული პროცედურის განცხადების გამოქვეყნებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში, საქართველოს მთვარობის ადმინისტრაციაში საქმისწარმოების სამართველოში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. N7) უნდა წარმოადგინონ წერილი ინტერესის გამოხატვის თაობაზე (დანართ N2-ის მიხედვით), რომელსაც უნდა დაურთონ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული საქმიანობის ნებართვა (ფორმა N4). აღნიშნული დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნას ინტერესის გამოხატვისათვის განსაზღვრული ვადის 2 (ორი სამუშაო დღე) ბოლო დღის 18:00 სთ-მდე, დაგვიანებით წარმოდგენილი წინადადებები არ განიხილება.

6. დაინტერესებული პირისათვის დოკუმენტაციის გადაცემა: შესყიდვის ელექტრონული პროცედურის განცხადების გამოქვეყნებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში შემსყიდველი უზრუნველყოფს აღნიშნულ შესყიდვასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის პრეტენდენტზე გადაცემას საიდუმლო წესით, ინტერესის გამოხატვის თაობაზე შემოსული წერილის მიღებიდან, მომდევნო სამუშაო დღეს.

7. შესყიდვის ელექტრონული პროცედურის განცხადებაში მითითებული წინადადების წარდგენის ვადის ამოწურვამდე, პრეტენდენტებმა ელექტრონულ სისტემაში უნდა დააფიქსირონ საწყისი პრეისკურანტის ჯამური ღირებულება.

8. ელექტრონული პროცედურის დასრულების შემდეგ უმდაბლესი ფასის წარმომდგენმა კომპანიამ ელ. პროცედურის დასრულებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში საიდუმლოების წესის დაცვით, საქართველოს მთვარობის ადმინისტრაციაში უნდა წარმოადგინოს შესაბამისად მომზადებული დანართი N1 - პრეისკურანტი და ტექნიკური დავალებით მოთხოვნილი დოკუმენტაცია (წერილში მითითებული უნდა იყოს ელ. პროცედურის (GEO) ნომერი).

9. ელექტრონულ პროცედურის დასრულებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში მთვარობის ადმინისტრაციაში დანართი N1 - პრეისკურანტი და მოთხოვნილი

დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში კომპანია გამოეთიშება შესყიდვის ელექტრონულ პროცედურას და შემსყიდველი გადავა შემდგომ უმდაბლესი ფასის წარმომდგენ კომპანიაზე.

10. შემსყიდველს ხელშეკრულების გაფორმებამდე ნებისმიერ ეტაპზე უფლება აქვს ჩაშალოს ან/და შეწყვიტოს ელექტრონული პროცედურა თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ინტერესებიდან გამომდინარე.

11. შემსყიდველი არ არის ვალდებული შესყიდვაში მონაწილე პრედენდენტებს წარუდგინოს კონკრეტული მტკიცებულებანი, დეტალური ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც მიღებული იქნა შესყიდვის ელექტრონული პროცედურის შეწყვეტის/ჩაშლის გადაწყვეტილება.

12. ელექტრონულ სისტემაში კომპანიის მიერ სავალდებულოა მხოლოდ რეკვიზიტების ატვირთვა. შესყიდვის ელექტრონულ პროცედურასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია და განმარტებები შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირისაგან: თაკო ნასყიდაშვილი 57 28 50 90.

შენიშვნა: შემსყიდველისა და მიმწოდებელს შორის ელ. პროცედურით განხორციელებული შესყიდვის პერიოდში კომპანიის ფორმა N4-ის მოქმედების ვადის გასვლის/შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვეღარ შეძლებს მიმწოდებელთან საიდუმლო დოკუმენტაციის წარმოებას, რაც რისკის ქვეშ დააყენებს ხელშეკრულების შესრულებას და გამოიწვევს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების ამოქმედებას.